მარინე ქადაგიძე
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

წერილი ათონის ივერთა მონასტრიდან

სამონასტრო კერები საქართველოში და მის გარეთაც უძველესი დროიდან არსებობდა. საბერო ცხოვრებას ქართველები ეწეოდნენ შაე მთაზე (სირიაში), პალესტინაში – საბას ლავრაში, სინას მთაზე, ბულგარეთში – პეტრიწონის მონასტერში და სხვ. ყველაზე მნიშვნელოვანი საზღვარგარეთული ცენტრი იყო საბრძნეთში, ათონის მთაზე – ივერთა მონასტერი.

ათონის მონასტერი აშენებულია 980-983 წლებში ბარდა სკლიაროსის დამმარცხებლის, თორნიკე (იოანე) ერისთავის წარსაგებლით, მისი, იოანესა და მისი შვილის, ეფთვიმე ათონელების, მიერ: ათონის ივერთა მონასტერი თავს უყრიდა ქართველთა საუკეთესო კულტურულ ძალებს. აქ ჩამოყალიბდა „განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა“.[1]

მონასტერი საუკუნეების განმავლობაში ფართოვდებოდა, ხდებოდა მისი გამაგრება, მის ტერიტორიაზე სხვადასხვა შენობების აგება. ეს ყველაფერი იმ პერიოდის პოლიტიკურ ვითარებას, მონასტრის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებას ეხმიანებოდა.

მონასტრის გაზრდილი მამულები და მეურნეობა, სამუშაოთა სიმრავლე და დიდი სამშენებლო საქმიანობა მოითხოვდა მუშახელის გაზრდას, რამაც მონასტერში ბერძენთა მომრავლება გამოიწვია და საბოლოოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქართველები.

ბერძენთა მძლავრობამ განსაკუთრებით მაშინ იჩინა თავი, როდესაც 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემის კვალად, საქართველოს გარეთ მდებარე ჩვენს კულტურულ ცენტრებთან კავშირი შესუსტდა, თუმც სამუდამოდ მაინც არ გაწყვეტილა. ურთიერთობა არც ათონის ივერთა მონასტერთან შეწყვეტილა და საქართველო ძნელბედობის ხანაშიაც შეძლებისდაგვარად ყურადღებას არ აკლებდა მას.[2]

XIX საუკუნის დამდეგიდან, როდესაც საქართველო როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური და საეკლესიო ერთეული მოისპო, ქართველთა მდგომარეობა ათონზე კიდევ უფრო გართულდა. მას შემდეგ, რაც ივერთა მონასტერმა დაკარგა მფარველ-შემწენი ქართველ მეფეთა სახით, ხოლო საქართველოს ეკლესიამ – თვითმწყსობა, ბერძნებმა ათონელი ქართველები კიდევ უფრო შეავიწროვეს, განდევნეს ძველი სავანიდან და მთლიანად დაეპატრონენ მას.

1821-1830 წლებში ათონის ნახევარკუნძულს თურქები ფლობდნენ. ბერძნები დაფრთხნენ და დაიფანტნენ. ქართველთა შორის აღმოჩნდნენ ისეთი მოღვაწენი (ბესარიონ ქიტიშვილი, ილარიონ ყანჩელი და სხვ.), რომლებიც არ შეუშინდნენ მოძალებულ მაჰმადიანებს, დარჩნენ მონასტერში, გაამხნევეს თანამოძმენი, ერთგვარი გაელენაც მოახდინეს თურქთა ჯარის უფროსზე, ლაბეტ-

---

[1] ქ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, წ. 1, თბ., 1951, გვ. 83. იხ. აგრეთვე: ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, თბ., 1980; ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996.

[2] ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

ფაშაზე (რომელიც წარმოშობით ქართველი იყო), იხსნეს იევრთა სავანე და ზოგიერთი სხვა მონასტერიც.

„ასკერებმა ათონი მხოლოდ 1830 წელს დატოვეს, მაგრამ თურქეთისადმი დაქვემდებარებაში ის 1912 წლამდე რჩება".

თურქეთ-საბერძნეთის ომის დამთავრების შემდეგ ათონი კელავ ბერძნების ხელშია (1830 წ.). გაძევებულ ქართველებს წმ. ილია წინასწარმეტყველის სავანე მიუჩინეს – ბ. ქიტიშვილი მოწაფეებთან, ხოლო ი. ყანჩიშვილი განმარტოებით „სამხოლოეში" დამკვიდრდნენ.[3]

ამრიგად, შუა საუკუნეების ბოლოდან იეირონი მთლიანად ბერძენთა ხელში გადადის.

ბ. ქიტიშვილის გარდაცვალების შემდეგ (1861 წ.) ბერძნები აღარ იღებდნენ ქართველ პილიგრიმებს და ძმობაში ქართველთა ჩარიცხვაც აკრძალეს. ბ. ქიტიშვილის ოთხ მოწაფეს გარდაცვალებამდე მონასტრიდან ულუფის მიღების ნება დართეს, საერთოდ კი, ქართველთა უფლებები იევრთა მონასტერზე საბოლოოდ უარყვეს. ამ დროს იქ მივიდა ვახტანგ ბარკალაია (1834-1911 წწ.) და ბერად აღკვეცის სურვილი განაცხადა, მაგრამ იგი უარით გამოისტუმრეს. საქართველოში დაბრუნებულმა მან მიიღო ბერობა (ბენედიქტეს სახელით), შეკრიბა შეწირულობა და 12 ბერის თანხლებით ათონს მიაშურა. იქ მან შეიძინა დანგრეული სავანე (1870 წ.) და შეუდგა მის აღდგენა-განახლებას, მაგრამ ბერძნებმა უარი უთხრეს სამშენებლო მასალის მიყიდვაზე და ნახევრად აშენებული ტაძრის დანგრევაც კი დააპირეს. ბ. ბარკალაიამ მაინც დააარსა წმ. იოანე ღვთისმეტყველის სავანე იევრთა მონასტრის ახლოს და იქ მოუყარა თავი ათონის მთაზე მიმოფანტულ ქართველობას.

ამიერიდან იგი იბრძვის იევრთა მონასტერში ქართველთა უფლებების აღდგენისათვის – დახმარებისათვის მიმართავს რუს ხელისუფალთ და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს, მაგრამ მისმა აქტიურმა ქმედებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ერთი ათონური ხელნაწერის ცნობით, 1883 წელს „ბერძნებმა მონასტერში დახატული ქართველი მეფის და დედოფლების სახელი ამოხოცეს და ბერძნის დაწერეს, ვითამცა მათი მეფეები ყოფილიყო. თორნიკე ამოხოცეს".[4]

ათონელი ქართველი ბერები გაჭირვების დროს შემწეობისთვის საქართველოს მიმართავენ, სადაც მათი მატერიალური არსებობის მთავარი წყარო ეგულებათ.

უცილობელი ფაქტია, რომ მთავარ სახსარს თავისი არსებობისას მონასტერი მისი მიტაცების შემდეგაც საქართველოში პოულობდა – სახელდობრ, შემოსავალი იმ მონასტრებიდან, რომელნიც მისთვის შეუწირავთ ქართველ მეფე-დიდებულებს.[5]

ათონსა და საქართველოს შორის მიმოწერის ცალკეული შემთხვევები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზეც ჩნდება. ათონზე ბერძნებისაგან შევიწროებული ქართველი ბერები შეწევნას ითხოვენ, ქართველები რითაც შეუძლიათ ეხმარებიან.

ამის ერთ-ერთი დასტურია ათონის მონასტრის მმართველის, მონაზონ იონას მიერ წევის ეკლესიის დეკანოზის – მაკარ ეფრემის ძე გაჩეჩილაძისადმი

---

[3] ლ. მენაბდე, ქართული კულტურის კერა ათონზე, თბ., 1982, გვ. 23.

[4] ლ. მენაბდე, ქართული კულტურის... გვ. 25-26.

[5] კ. კეკელიძე, მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული სალიტერატურო კერისა ათონზე და მისი მდგომარეობა მე-16-17 საუკუნეებში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955, გვ. 80-81.

გამოგზავნილი წერილი, რომელიც მაკარ გაჩეჩილაძის შვილის, კოტე გაჩეჩილაძის არქივში აღმოჩნდა. მოვიყვანთ წერილის შინაარსს მთლიანად. იგი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს იმდროინდელი საქართველოსა და ათონის მონასტრის ურთიერთობის და, აგრეთვე, ათონში ქართველთა მდგომარეობის შესახებ.

წერილი დევს სპეციალურ კონვერტში, რომელსაც ბეჭდურად აწერია:

„Qrez G. Odessu, Na Sv. Afonskuh goru, v'] Russkiy Sv. Panteleimona monastjr>, Arximandritu Otcu Andreh, dl% peredaqi, v] Obitel> Sv. Ioanna Bogoslova, Starcu Ieromonaxu, Otcu, Ion] gruzinu s] bratieh".“

აგრეთვე, აქვე ბეჭდურითვე: "Via Odessa a Mont-Athos Couvent de St. Panteleimon Au Rev. Pere Superieur Archimandrite Andre pour remettre au Rev-Pere (YONA Georgien)".

კონვერტში დევს სპეციალური ორად მოკეცილი წერილის ფურცელი, რომლის თავშიც ათონის ივერთა ლავრის სურათია, ქვემოთ ბეჭდური მინაწერით: „ ოზეოლენო ცენზუროპ 12 მარტა 1881 გ. Vიდ] ოვოყ Iვერო- რუზინსკოყ ბიტელი ნა სვ. გორე ფონსკოყ.

იოანე ღვთის-მეტყველისა ახალი საეანე მთასა წმიდასა ათონს.“

ამის შემდეგ მოდის ხელნაწერი წერილის ტექსტი დათარიღებული თავშივე 1898 წლის 18 ივლისით. რასაც მოსდევს ტექსტი: „თქვენო კურთხევაე ანგელოზო სოფლისაო და ზეცისაცა, მამაო პატიოსანი მღვდელო მაკარი გაჩეჩილაძე.

ყ-დ მადლითა და კურთხევითა მთაწმიდისა, მოგეახლდები შორიდგან, და ანბორის ყოფითა წ-დითა მარჯვენესა გეამბორებით და მოგახსენებთ ჭ-ტე არს ჩუენ შორის ამასთან მამაო, ყ-დ პატიოსანო მივიღე პატიეცემული ბარათი თქუენი და ხილვისა, პირისპირ თქუენით ეისიამოვნე და გაეიგე თქუენი მშვიდობით მყოფა და მადლობასა ღმერთსა შევსწირე და აწცა ესთხოვ მამაო უ-ლსა, რათა განაგრძოს წელნი და დღენი ცხოვრებისა თქვენისანი სასიამოვნოდ თქ-და და საონოდ ღმერთსაა და სასარგებლოდ ქრისტეს მიერ შთაბარებულის პირმეტყველის ცხოვართა თქუ-ნისა, და აგრეთვე თ-სის მართლმორწმუნისა მომხსენებელად და უკანასკნელად ჩვენ უნდოთა და [კეთროვანთა-?] მწირთა სანუგე-შოდ. ამასთან, მამაო მაკარი, გეგზავნება ფულისათვის ჯეროონი კვიტანცია და იმედია მამაო ღვთისათვის გარდაცემთ ჩ-ნისა კეთილის მყოფელთა და მასთან ლოცვისა კურთხევასა მომიკითხავთ ამასთან კიდევ ჩვენი კეთილისმყოფელი დიმიტრი გარდაცვლილი და ცხოვნებული დიდად დამაღონა მისმა გარდაცვლამან, გარნა კურთხეულ არს მამაო უ-ლი, მისი ნება, ვინ წინა აღუდგებაო. ამასთან იმედია, მამაო უ-ლსა, გხედავთ, ბრძანდებით ჭ-ტი მწყესი არა დაგვიეიწყებთ ორთა ცხორებითა სულით მოხსენებითა და ხორცით ნივთიერობითა. ამისთვისა ბრძანებითაებრ წ-და სახარებისა რ-ლმან ჰყოს [დაარწიოს?] ამას დიდ ერქვას სასუფეველსა [ცაშითა-?] ეცადე საუკუნოდ აღმაშენებლის ნაწილს იქმნებით ჩაწერილი, ვინაიდგან შრომაში ჩ-ნსა შრომობ და ზრუნავ. გეგზავნება მზა კონვერტები გარდაეცი ვინმეს ღ-სა [მოყვარეთა-?] სხვამაცა [ეცადონ-?] [სულ-?]სათვის ამასთან მამაო მაკარი გთხოვ 20 აპრილს გარდამეცვალა ხორციელი ძმა, მყავდა საწყალი უპატრონოთ. თქუ-ნი წ-და ჟამის წირვაშიდ გახსოვდეს ჭ-ტე მოგცემ სასყიდელსა და მეცა ცოდვილი უსასყიდელად თქუ-ნი ორთა ცხორების კეთილად წარმატებისათვის ვსთხოვ უ-ლსა დასასრულ ყოელისა ბრძანდებოდა მამაო უვნებლად მადლითა ღ-სათა სათნოდ მისდა და სასიამოვნოდ თქუ-ნდა სანუგეშოდ ჩუ-ნდა, ამინ.

თქვენი სიწმინდის მსურეებელი და ლოცვის მოსაკი თანა ძმა. მმართველი ქართველთა ძმათა მღ~დლ მონაზონი იონა ქ~ტეს მიერ[?]"

ამ წერილიდან კარგად ჩანს, რომ მაკარ გაჩეჩილაძე, წევის ეკლესიის დეკანოზი, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ათონის მონასტერში ამ დროისათვის დიდად გასაჭირში მყოფ ძმებს, რისთვისაც მადლობის წერილი მიულია მათგან.

ეს წერილი ნათელი დასტურია მჭიდრო კავშირისა საქართველოსა და ათონის ლავრას შორის XIX საუკუნის მიწურულში და ჩვენი ისტორიის ერთ მცირე საკითხსაც ხდის ფარდას.

იონა მღვდელ-მონაზვნის აღწერილი ვითარების უკეთ გაგებაში გვეხმარება პეტრე კონჭოშვილის წიგნი, რომელმაც ათონი 1899 წელს მოილოცა.[6]

დადგენილი წესისამებრ, ქართველებს ყოველ წელს უნდა ეძლიათ ხარკად ივერიის მონასტრისათვის რამდენიმე ლირა ოქრო (1 ლ=8 მან). 10 წელია, რაც აღარ იხდის ქართველთა ძმათა სავანე ამ ხარკსო – აღნიშნა კონჭოშვილმა თავის ათონზე ყოფნისას (ანუ 1889 წელს), რადგან 1883 წლიდან დაწყებული აქეს დავა ივერიის მონასტერთან, რათა მას დაუბრუნდეს ივერიის მონასტერი თავისი მამულებით, ბერძენთაგან უსამართლოდ მიტაცებული.[7]

1899 წლის 7 ივლისს პ. კონჭოშვილი მისულა ქართველთა ძველ სავანეში. მას ახლდნენ ქართველთა სავანეს ძმანი: მღვდელ-მონაზონი გიორგი, მღვდელი ალექსი ბაქრაძე, და მონაზონი გაბრიელი (აბაშიძე).

ბერძნებს ისინი ცუდად მიუღიათ და მათი შეშვებაც არ უნდოდათ. შემდეგ კი შეუშვეს, მაგრამ ხელნაწერები მხოლოდ 4 დღის შემდეგ აჩვენეს, რადგან გადამალეს, რისი ჩვენებაც არ უნდოდათ.. ქართველთა ძველ სავანეში მხოლოდ ერთი ქართველი-მეგრელი მაკარი მორჩილი ყოფილა, რომელიც მონასტრის გარეთ, სასაფლაოს ეკლესიასთან არსებულ სენაკში ცხოვრობდა და სწორედ მისგან გაუგია კონჭოშვილს, რომ უნდა მისულიყო ხელნაწერებისათვის და თან არავინ წაეყვანა.

მიუხედავად ამისა, პ. კონჭოშვილს მაინც წაჰყოლია მღვდელი ალექსი ბაქრაძე – ძველი ხელნაწერების კარგი მკითხველი და გაბრიელ მონაზონი – ბერძნული ენის მცოდნე. (11 ივლისს) კონჭოშვილმა აღწერა ქართულ ხელნაწერთა საეალალო მდგომარეობა (აქ ნათქვამია, რომ ბერძნებს 6 სახედარზე აკიდებული ქართული ხელნაწერები მონასტრიდან გაუტანიათ).

ბერძენი ბერები ათონის ქართველ ბერებს ხელნაწერებს გადასაწერადაც არ აძლევდნენ. ქართველნი ძმანი ათონის სავანეს თვლიდნენ „კელლიად". ქართველთა ძმათ არ შეეძლოთ ჰყოლოდათ მომეტებულ სამ მღვდელ-მონაზონისა. ივერიის მონასტრის კრებულმა ქართველ ძმათა სავანეს ნება არ მისცა, რომ გუმბათი დაადგან ეკლესიას. მონასტრის შიგნით ეზოში ბერძნის ბერებმა, ვითარცა ხატის ბრძოლთა, აუგლიჯეს ქართველებს ხატი წმ. იოანე ღვთისმეტყველისა. ნებას არ აძლევენ ქართველთა ძმათ, გამოიყვანონ წყალი მილით ეზოში.[8]

იმპერატორს ალექსანდრე III-ს დაუნიშნავს ქართველ მონაზონთათვის რაღაც თანხა – „უამისოდ შიმშილით ამოსწყდებოდნენ ქართველნი ძმანი"-ო

---

[6] მოგზაურობანი ქალაქს იერუსალიმს და წმ. ათონის მთაზედ დეკანოზს პეტრე დავითის ძის კონჭოშვილისა, სჯულის მოძღვარისა ამიერკავკასიის ქალწულთა ინსტიტუტისა იმპერატორ ნიკოლოზ I-სა, ტფ., 1901.

[7] იქვე, გვ. 179.

[8] იქვე, გვ. 162.

– წერს კონჭოშვილი – მაშინ, როცა ჩვენი ქართული პურით და ღვინით ბერძნები სუქდებიან-ო.[9] „ქართველთა ახალ სავანეში მოღვაწეობენ 33 ძმანი,[10] მათ შორის 3 მღვდელ-მონაზონი: მოძღვარი ამ სავანესი დიდ სქემოსანი, მამა თეოდორე, მ. მ. გიორგი და იონა მღვდელ-მონაზონი (ეს უკანასკნელი დროებით განაგებს სავანესა და ყოველ დღე მწირველია)".

აი, ეს იონა მღვდელ-მონაზონია, იმ წერილის ავტორი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. პ. კონჭოშვილის თქმით, ეს „მამა თეოდორე, მამა გიორგი და იონა ზრუნავენ სავანის კეთილმდგომარეობისათვის, ხოლო წინამძღვარი ამ სავანისა დაფუძნებიდანვე, მ. ბენედიქტე მღვდელ-მონაზონი, აგერ უკვე ხუთი წელია განშორებია მონასტერსა და იმყოფება სოხუმსა და ბათუმში, ვითომც მონასტრის საქმეების წარმართვისათვის"-ო.

პ. კონჭოშვილი გულდაწყვეტით აღნიშნავს, რომ გარდაიცვალა „მამა გიორგი (გოგოლაძე) 25 დეკემბერსა 1899 წელსა". და „ისრედაც რიცხვ-მცირე ქართველთა ძმათა სავანეს სამშობლოს გარედ მოაკლდა ეს ღირს-მხნე, დიდი მოღვაწე და მშრომელი ძმა სასიქადულოდ საქართველოს ეკლესიისა და ერისა".

საინტერესოა კონჭოშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ „დაფუძნებიდამ ათონის ქართველთა ახალი სავანისა ნეტარ-ხსენებულმა, სულის კურთხეულმა გაბრიელ, იმერეთის ეპისკოპოსმა, წარგზავნა ათონის მთაზედ გელათის მონასტრიდამ ორნი ცნობილნი მოღვაწენი მამანი – თეოდორე და გიორგი... ვითარცა მტკიცენი სვეტნი... დასამტკიცებლად... ქართველთა სავანისა".[11]

ჩვენი აზრით, ეს კიდევ უფრო ამყარებს შეხედულებას, რომ იმერეთსა და ათონს შორის ამის გამოც იყო მჭიდრო ურთიერთობა. შესაძლოა, მოვალეც იყო იმერეთი გარკვეული დახმარება გაეწია ათონზე მყოფი ქართველი ბერებისათვის, ან იმ მამულებში შედიოდა, რომელიც ასაზრდოებდა ივერთა მონასტერს. ერთი კი ცხადია: წევის ეკლესიის დეკანოზს, მაკარ გაჩეჩილაძეს, უნდა სცნობოდა იმერეთიდან გაგზავნილი თეოდორე და გიორგი და, შესაძლოა, ამის გამოც ჰქონდა მიწერ-მოწერა ათონზე მყოფ იონასთან.

პ. კონჭოშვილთან არის ცნობა ბენედიქტე მღვდელ-მონაზვნის შემდგომი მოღვაწეობის შესახებაც:

1900 წლის დამდეგს ბენედიქტე (ვახტანგ ბარკალაია), საქართველოს ეგზარხოსის მიერ დაინიშნა წინამძღვრად დავით გარეჯის მონასტერში. „1900 წლის აპრილში აღყვანილ იქნა იყო იღუმენის ხარისხზე და რადგან საქართველოში შემცირებულია ბერ-მონაზონთა რიცხვი, ამისათვის ათონის ქართველთა სავანიდან გამოიწვიეს სამი მონაზონი: პიმენ, სეიმეონ და გაბრიელ, სამოღვაწეოდ დავით გარეჯის მონასტერში, 1899 წლის ნოემბერში". ამ ძმებმა, კონჭოშვილის თქმით, „ვერ ჰპოვეს აქ სულიერი სიმშვიდე და ორნი: პიმენ და სვიმეონ უკანვე გაბრუნდნენ, 1901 წლის იანვარში. გაბრიელ დიაკონი კი დარჩა და მოღვაწეობს იოანნე ნათლისმცემლის უდაბნოში ტფილისთან".[12]

პ. კონჭოშვილი აღშფოთებით აღწერს ქართველი ბერების უმძიმეს მდგომარეობას ათონზე. მისი თქმით, ბერძნები ქართველებს შეშით სარგებლობის ნებასაც არ აძლევენ, „არცა საფასითა!"[13] ერთხელ ბერძენთა ნებართვით მოუ-

---

[9] იქვე, გვ. 168.

[10] და არა, 51, როგორც ეს ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში წერია.

[11] იქვე, გვ. 169.

[12] იქვე, გვ. 170.

ჭრიათ ქართველ ბერებს შეშა, დაუწყეიათ წამოსაღებად და გამზადებული ბერძნებს წაუღიათ, ქართველებს კი ხმა ვერ გაუცია.[14] ყველა შეწირულობით, რაც ქართველებს შეუწირავთ მონასტრისათვის, ბერძნები სარგებლობენო. ქართველებს ივერიის ქარის ღმრთისმშობლის თაყვანისცემის უფლებასაც კი არ აძლევენო.[15] ამ ხატის გარშემო ბერძენთა და ქართველთა დავისას სწორედ იონა მღვდელ-მონაზონი იღებს აქტიურ მონაწილეობას: ქართველთა საკანის მხრიდან ხელს იგი აწერს და ღმრთისმშობლის ეს ხატი წილის ყრაში ქართველთა ძმათა საკანეს ერგება.[16]

1899 წლის 10 სექტემბრის წერილშიც ისინი ნიშნავენ, რომ 32 წელია მძიმე მდგომარეობაში ვართო. ამრიგად, მათ 1870 და არა 1867 წელს შეუძენიათ მიწა ბერძენთაგან ბენედიქტეს თაოსნობით.

პ. კონჭოშვილი დამატებით ცნობას გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო იონა მღვდელ-მონაზონის შესახებაც.

ქართველ ბერებს აუშენებიათ ხის ფანჩატური შეშის დასაწყობად. ბერძნები მიუვარდნენ ქართველებს, რათა დაენგრიათ იგი. მმართველი იონა ეკლესიაში იყო და ლიტურგიას ასრულებდა, რის გამოც ბერძნებს პირველად მამა გაბრიელი გაეგებათ. როდესაც წირვა გათავდა, აღშფოთებულ ბერძნებს „დაუყოვნებლივ" იონაც გამოეგება და „თავაზით" ჩაი შესთავაზა. ბერძნებმა ყვირილი მორთეს. მამა იონამ კი პირველად მათ სიმშვიდით ახსნა დაუწყო, და დასასრულ მიუგო, დასარღვევად არ გეიშრომია, არც ჩვენ დავარღვევთ და არც სხვას მივცემთ ნებას მისი დარღვევისას, „თეინიერ ჯეროვანის მართებულობისა".

გააფთრებული ბერძნები მისცვივდნენ ხის ფანჩატურს დასანგრევად, ხოლო „მ. მ. იონა და გიორგი ახლოს იდგნენ სვეტებთან, ამისათვის არ დაანებეს დაენგრიათ"-ო! ამრიგად, მშვიდი, გაწონასწორებული, მაგრამ მტკიცე ხასიათის იონა პრინციპული და შეუპოვარია, თუმცა ეს უთანასწორო ბრძოლა ქართველებმა მაინც წააგეს: მათ მიმართეს დახმარებისთვის რუსეთის ელჩს კონსტანტინოპოლში და თესალონიკის ვიპატოსს, რომელთაც მოახდინეს ჯეროვანი განკარგულება... „აგვისტოს 31-სა მობრძანდნენ ჩვენს საკანეში თხოვნისამებრ ბერძენთა აქაური პროტადიტგან ანტიპროსოპნი (მოადგილენი), რომელთაც გამოგვიცხადეს" – დაენგრიათ ქართველებსვე დავის მიზეზი (ფანჩატური) ან თვითონ ბერძნები დაანგრევდნენ და „შეადგენდნენ განაჩენს ჩვენდა საკნებლად, რომელსაც მოჰყვებოდა ჩვენ ქართველების ათონიდამ გადარეკა." ქართველებმაც თავისი ხელით დაანგრიეს ხის სვეტები.[17]

იონა მღვდელ-მონაზონი მოთმინებით, მადლიერებითა და ჭეშმარიტი სასულიერო პირისათვის დამახასიათებელი სიმშვიდით აღსავსე პიროვნება ჩანს მაკარ გაჩეჩილაძისადმი გამოგზავნილ წერილშიც. ამასთან, მას დიდი გამჭრიახობა და დიპლომატიური ალღოც ახასიათებდა. 1900 წლის 10 ივნისს ათონის ქართველთა საკანის ძმებმა საქართველოში წერილი გამოაგზავნეს, რომელსაც ხელს აწერს მმართველი იონა მღვდელ-მონაზონი.[18] იგი ანგარიშს აბარებს საკანის მფარველებს ათონზე დატრიალებული ამბების შესახებ,

---

[13] იქვე.
[14] იქვე, გვ. 171.
[15] იქვე, გვ. 171-172.
[16] იქვე, გვ. 173.
[17] იქვე, გვ. 220. შდრ. ალექსი ბაქრაძის წერილები ვანო ჭიჭინაძესთან: „ლიტერატურული საქართველო", 30.I.-6.II., გვ. 14.
[18] იქვე, გვ. 222-223.

წერილმანებსაც კი აგებინებს, რათა მათ დახმარების აღმოჩენა გაუადვილდეთ.

1956 წელს ათონზე უკანასკნელი ქართველი ბერი ტიხონ ფაღავა მიიცვალა.

1972 წელს საბერძნეთის მთავრობამ გააუქმა ათონის მთის ათასწლოვანი ავტონომია და იგი თავის ინტერესებს დაუმორჩილა. რამდენიმე წლის შემდეგ, საბერძნეთში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის შედეგად, ათონი კვლავ ავტონომიად იქცა.[19]

დღეს ათონის ივირონში სამონასტრო ცხოვრება უწყვეტლივ მიმდინარეობს. იქ 30-მდე ბერია, მაგრამ არც ერთი მათგანი ქართველი არაა.[20]

სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით იმის თაობაზე, რა მიმართებაშია წვევის ეკლესია ათონის მონასტერთან, ჰქონდა თუ არა მას ივირონის წინაშე რაიმე ვალდებულება, ეკუთვნოდა თუ არა წვევის გარშემო მიწები ათონს, თუ ის დახმარება, რაც მაკარ გაჩეჩილაძეს აღმოუჩენია ათონისათვის, პირადმა ურთიერთობამ განაპირობა.[21]

---

[19] ლ. მენაბდე. დასახ. ნაშრ., გვ. 27.

[20] ათონზე, „ჯვარი ვაზისა", 1981, №2, გვ. 26-33.

[21] თვით წვევის წმ. გიორგის ეკლესია XI საუკუნისაა. 1863 წელს გადაკეთებულ ეკლესიაში XVI-XVII საუკ. მოხატულობაა (ჯ. ჯღამაია, სოფ. ზედა წვევის ერთი უცნობი ქიმერული წარწერის შესახებ. ძეგლის მეგობარი, 47, 1978, გვ. 61; შდრ.: გ. ბოჭორიძე, იმერეთი, თბ., 1995, გვ. 145).

ეკლესიიდან 100 მეტრში წვევის რვაწლიანი სკოლაა. ჯერ კიდევ 1860 წელს აქ გაიხსნა დაწყებითი სასწავლებელი ადგილობრივი ორშტატიან ეკლესიასთან. საკუთარი შენობის უქონლობის გამო, ახლადგახსნილი სკოლა სესია როსტომის ძე გაჩეჩილაძე-ოთიაშვილის სახლში მოათავსეს. 1890 წელს ეკლესიის მიწაზე სკოლისათვის ორსართულიანი შენობა აშენდა, რამაც ხელი შეუწყო 1900 წელს სასულიერო უწყების განკარგულებით სკოლას დამატებოდა IV განყოფილება და ის ორკომპლექტიანად (თავდაპირველად ერთკომპლექტიანი (სამგანყოფილებიანი) სკოლა იყო) გადაკეთებულიყო.

ამ სკოლის „უხუცესი მასწავლებელი იყო მაკარ ეფრემის ძე გაჩეჩილაძე, რომელმაც 1876 წელს დაიწყო მასწავლებლობა და 41 წლის განმავლობაში ამ სკოლაში ყველა საგანს ასწავლიდა , ხოლო 1902 წლიდან 1917 წლამდე მის უცვლელ გამგედ ითვლებოდა (კ. გაჩეჩილაძე, წვევის სკოლა ას ათი წლისაა, ხელნაწერი, 1970).

გასაბჭოების შემდეგ მაკარ გაჩეჩილაძე, როგორც სასულიერო პირი, სასტიკად შეზღუდეს. იგი იძულებული იყო თბილისში გადმოსულიყო, მაგრამ მიუხედავად რეპრესიებისა, არასოდეს გაუხდია ანაფორა და ლოცვებსა და ეკლესიის ყველა წესს სიცოცხლის ბოლომდე ასრულებდა.

მის არქივში რამდენიმე სხვა საგულისხმო საბუთიც ინახება. ერთი მათგანია „ექსილი სანახშირის ეკკლესიის კომიტეტების". წერილი დევს კონვერტში, რომელსაც აწერია: „3 ექსილია ამაში [?] ზურა ცქიტიშვილის და მაღლაკელიძეების. გადაახდეინეთ [უსათუოდ-?] და გადაეცით წვევის ეკკლესიას. დეკ. მაკარ გაჩეჩილაძე."

მეორე მხარეს: „მღვდელ მაკარ გაჩეჩილაძეს სოფელ წვევაში. ამაშია ცქიტიშვილის 3 ექსილი. წვევის ეკკლესიის ფული იყო ოთხასი მანეთი. 400 მ. გივისაგან. დეკ. მაკარ გაჩეჩილაძე."

გთავაზობთ ამ ექსილის ტექსტს უცვლელად:

„1915 წელსა სექტემბრის 7ს დღესა ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერლებმა სოფელ სანახშირეში მცხოვრებლებმა სანახშირის წმ. გიორგის ეკკლესიის აღშენების კომიტეტის წევრებმა ასნ. თალხან ზურაბის ძე ცქიტიშვილმა და გლეხებმა: მურძაყან როსტომის ძე მაღლაკელიძემ და ეანო ალმასხანის ძე მაღლაკელიძემ ავიღეთ ვალათ სანახშირის ახლათ შენებულის ეკკლესიის საჭიროებისათვის ოთხასი /400/ მანეთი ნაღდი ფული წვევის წმ. გიორგის ეკკლესიიდგან დღეიდგან სამი წლის ვადით, რომელი ფულიც წვევის

Marine Kadagidze
A Letter from Iviron Monastery on the Mount Athos

In the late 10th c., Ioane-Tornike, together with Ioane and Eptvime Athonites, had founded a Georgian monastery, the so called Iviron, on Mount Athos. Over the centuries this monastery, which was under the patronage of the Georgian Royal Family and nobility, was one of the richest on Mount Athos and, at the same time, was one of the most significant centres of the Georgian spiritual life and literature. However, gradually, especially after the 15th c., the Greeks had oppressed Georgian monks and in the 19th c., after 1830, drew them away, but gave them the monastery of the Prophet Elias instead of Iviron. Since 1860s, Georgians were not accepted on Mount Athos and monk Benedikte (Berkalaia), together with other twelve Georgians, had to establish a new monastery of St. John Theologian, which was in any possible ways opposed by the Greeks. Benedikte tried to restore Georgian rights on Iviron; Georgian did their utmost to survive and appealed fro assistance to their compatriots – estates, donated to the monastery over the centuries, which were to ensure subsistence to the Georgian brethren, were located in Georgia. One of the evidences of Athos – Georgia relations is provided by a letter sent on 18 July 1888 by the hieromonachos Iona, Prior of the Georgian brethren, to Makar Gachechiladze, Dean of the Tsevi (Racha, western Georgia) church. In his letter Iona expresses his gratitude for assistance and hopes for the future support.

Iona Monk is also mentioned by Petre Konchoshvili in his book on a voyage to Athos in 1898. He is shocked with extremely hard conditions in which Georgian are kept by the Greek monks – they did not consider Georgian monastery as an independent monastic unit, did not give Georgian monks Georgian manuscripts from Iviron for copying, did not let them construct a dome on their church, did not let them cut fire-wood, did not let them even venerate the icon of the Virgin Portaitissa, etc. It is noteworthy that two monks – Teopore and Giorgi – were sent to Athos by St. Gabriel, Bishop of Imereti. This makes it possible to propose that Imereti had some commitments before Athonite Georgian brethren. In P. Konchoshvili's book Iona Monk is shown as firm, but at the same time, tranquil and benevolent spiritual father. The same is confirmed by other documents, e.g. his letter to Georgia on 10 June 1900.

ეკკლესიას ენახებოდა ხაზინაში, ამა ხაზინის კკინეკით 4187/319 და ჩვენ კომიტეტები ეალდებული ეართ ყოველის მიზეზის გარეშე ეადასედ მიუზღოთ მოხსენებული ოთხასი მანეთი წეეის ეკკლესიას.

[რასა-?] შინა ჩვენ საკუთარ ხელს ვაწერთ და ეალიც ჩვენია ეანო ალმასხანის ძე მაღლაკელიძე ამის უწერილობისა გამო ამის მაგიერ და ჩემ მხრითაც ხელს ვაწერ: აზნაურ თალხან ზურაბის ძე ცქიტიშვილი.

მურძაყან როსტომის ძე მაღლაკელიძე.

სინამდვილესა ამა ვექსილ [ისას?] ვამოწმებ ხელის მოწერითა და სახელმწიფო ბეჭდის დასმითა სექტემბრის 7 დღესა 1915 წელსა. შორაპნის საბლაღაჩინო ოლქის ბლაღაჩინი მღდ. დავით [სუხაშვილი-?].

შემონახულია ასევე ეპისკოპოს დავითის წერილიც: „დეკანოზო მაკარი! ძალიან გვესაჭიროება წმ. ნაწილები ეკლესიებისათვის. გამოატანეთ მ. ქელურაძეს [თუ: ჭულუხ-აძეს-?] ჩემთან, თქვენ გქონიათ. ეპისკოპოზი დავითი. 25 თებ. 1925 წ."

აქვე არის კირიონ II-ის ფოტოსურათი და აგრეთვე გაბრიელ ეპისკოპოსის ფოტო, რომელსაც უკან აწერია: „ჩემი მაკურთხებელი იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი". ეს წარწერა უნდა ეკუთვნოდეს მაკარ გაჩეჩილაძის მამას – დეკანოზ ეფრემს.

წეეის ეკლესიის უკანასკნელი მღვდელი ყოფილა მამა კასიანე (მაკარის ძმა), რომელიც 1950-იანი წლების დასაწყისში მიიცვალა (მ. გაჩეჩილაძე, საშური საქმე. ლიტერატურული საქართველო, 1990, 10.X., გვ. 15).

რამდენადაც ვიცით, დღესდღეობით წეეის ეკლესიაში მსახურება არ მიმდინარეობს, ხოლო 14-15 იელისს, ძველი სტილით, რატომღაც იმართება წმ. კეირიკეს (და არა, წმ. გიორგის) დღესასწაული.